




საქართველოს ეკონომიკური კლიმატი PMC კვლევითი ცენტრის პროდუქტია. ბიულეტენში განვიხილავთ ეკონომიკურ კლიმატს საქართველოში, რომელიც შეაფასეს ქართველმა ეკონომისტებმა. ბიულეტენი ემყარება Ifo ინსტიტუტის მეთოდოლოგიას. საქართველოდან ინიციატივაში 50 ექსპერტი მონაწილეობს. კვლევა ჩატარდა 2020 წლის ოქტომბერში.

2020 წლის მეოთხე კვარტალში, წინა პერიოდთან შედარებით, საქართველოს ეკონომიკური კლიმატი მნიშვნელოვნად არ შეცვლილა.

2020 წლის მეოთხე კვარტალში ქართველმა ეკონომისტებმა უარყოფითად შეაფასეს ამჟამინდელი ეკონომიკური მდგომარეობა. აღსანიშნავია, რომ მეოთხე კვარტალში, 2020 წლის მესამე კვარტალთან შედარებით, არსებული ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება ოდნავ გაუმჯობესდა თუმცა 2019 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით გაუარესდა.

მიმდინარე ეკონომიკური მდგომარეობის მსგავსად, საქართველოს ეკონომიკური ვითარება მომდევნო ექვსი თვის განმავლობაში, ქართველმა ეკონომისტებმა, ასევე, უარყოფითად შეაფასეს. ნიშანდობლივია, რომ მომდევნო ექვსი თვის მოლოდინები ოდნავ გაუარესდა 2020 წლის მესამე კვარტალთან და 2019 წლის მეოთხე კვარტალთან შედარებით.

### საქართველოს ეკონომიკური კლიმატი (IV კვარტალი, 2020)



დამატებით, გამოკითხვის ფარგლებში, ექსპერტებმა გააკეთეს პროგნოზი საქართველოს ძირითად მაკროეკონომიკური ინდიკატორებზე. შედეგების მიხედვით, 2020 წლის მეოთხე კვარტალში, რეალური მშპ-ს მოსალოდნელი ზრდის პროგნოზი 2020 წელს შეადგენს -2.7%. სხვა ძირითადი მაკროეკონომიკური ინდიკატორების პროგნოზი შემდეგნაირია:



#### ინფლაცია

- მოსალოდნელია ინფლაციის იგივე დონეზე დარჩენა შემდეგ 6 თვეში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით;



## გაცვლითი კურსი

- ქართული ლარი ამჟამად არის შედამეტად გაუფასურებული აშშ დოლარის, ევროს, თურქული ლირას და რუსული რუბლის მიმართ.



## ვაჭრობის მოცულობა

- მოსალოდნელია ექსპორტის მოცულობის კლება უახლოეს ექვს თვეში, გასულ ექვს თვესთან შედარებით.
- მოსალოდნელია იმპორტის მოცულობის კლება უახლოეს ექვს თვეში, გასულ ექვს თვესთან შედარებით.
- ექსპორტის მოცულობა სავარაუდოდ დაიკლებს უფრო ნაკლებად ვიდრე იმპორტის მოცულობა, რაც გამოიწვევს სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესებას მომდევნო ექვს თვეში, გასულ ექვს თვესთან შედარებით.

## დამატებითი შეკითხვები

2020 წლის მეოთხე კვარტალში ქართველმა ექსპერტებმა შეაფასეს COVID19-ის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე, ეკონომიკის აღდგენა და მთავრობის ქმედებები.

ექსპერტთა უმეტესობამ (82%) აღნიშნა, რომ საქართველოს გრძელვადიანი ეკონომიკური გაჯანსაღება დამოკიდებული იქნება გლობალური ეკონომიკის გაჯანსაღებაზე. ასევე, ექსპერტთა 64%-მა ხაზგასმით განაცხადა, რომ საქართველოს ეკონომიკის აღდგენა დამოკიდებულია რუსეთის და თურქეთის ეკონომიკების გაჯანსაღებაზე.

ეკონომისტებს, ასევე, სთხოვეს, შეაფასებინათ კომპანიების კონკრეტული პრობლემები პანდემიის ფონზე 1-დან (საერთოდ არ არის პრობლემატური) 5-მდე (ძალიან პრობლემატური). აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა 36%-მა საერთაშორისო ბაზრის პრობლემა განსაზღვრა, როგორც "ძალიან პრობლემატური", ხოლო რესპონდენტთა 18% -მა აღნიშნა, რომ დაფინანსება / ლიკვიდობა "საერთოდ არ არის პრობლემატური".

გარდა ამისა, ექსპერტებმა შეაფასეს კომპანიების გადახდისუნარობის რისკი საქართველოს ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში. განთავსებისა და კვების ობიექტების საქმიანობა არის ერთადერთი სექტორი, სადაც ექსპერტთა უმრავლესობამ (36%) გადახდისუნარობის რისკი შეაფასა როგორც "ძალიან მაღალი". აღსანიშნავია, რომ გამოკითხულთა 18% აცხადებს, რომ ფინანსური და სადამკვეთო საქმიანობაში კომპანიების გადახდისუნარობის რისკი "ძალიან დაბალია".

გამოკითხული ეკონომისტების 46% აცხადებს, რომ მთავრობის მიერ დაწესებული ფისკალური სტიმულირების პაკეტი საკმარისია, ხოლო 54% ფიქრობს, რომ მეტის გაკეთება შეიძლებოდა.

გარდა ამისა, ექსპერტებს სთხოვეს დაესახელებინათ მთავრობის არსებული ინიციატივები, რომლებიც 2021 წელს უნდა გაგრძელდეს. ეკონომისტების 91% აცხადებს, რომ უნდა გაგრძელდეს ლიკვიდური სახსრების მიწოდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, ხოლო დამატებითი წესით დღგ-ს დაბრუნება და გადასახადების გადავადება ბიზნესისთვის, ექსპერტების 64% -მა დაასახელა.

### მეთოდოლოგია

ინდექსი ემყარება მიმდინარე ეკონომიკური სიტუაციის კვარტალურ ექსპერტულ შეფასებებს, ასევე, მომავალი ექვსი თვის მოლოდინებს. მასშტაბი მერყეობს -100 ქულიდან +100 ქულამდე. -100 ინდექსი ნიშნავს, რომ ყველა ექსპერტი აფასებს ეკონომიკურ მდგომარეობას, როგორც გაუარესებას (უარყოფითს), ხოლო +100 ინდექსით გაუმჯობესებას (დადებითს), 0 კი ნიშნავს ნეიტრალურს / უცვლელს.

ინდიკატორები	2016	2017	2018	2019	2020 (Q1)	2020 (Q2)
ნომინალური მშპ (მლნ. აშშ დოლარი)	14377.9	15086.5	17596.6	17736.6*	3780.3*	3572.5*
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (აშშ დოლარი)	3857.3	4046.8	4722.0	4763.5*	1017.1*	961*
მშპ რეალური ზრდა (%)	2.8%	4.8%	4.8%	5.1%*	2.2%*	-12.3%*
ინფლაცია	2.1%	6.0%	2.6%	4.9%	-	-
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ აშშ დოლარი)	1565.8	1894.5	1265.2	1267.7*	165.4*	237.8*
უმუშევრობის დონე (%)	14.0%	13.9%	12.7%	11.6%	11.9%	12.3%
სავარგო ვალი (მლნ. აშშ დოლარი)	4515.7	5177.4	5434	5741	5688	6143

\* წინასწარი მონაცემები